საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2761
21/06/2022

2761-21-2-202206211145

**შპს „ქვიშა ბათუმს"**
**მის:** ქ. ბათუმი, სელიმ ხიმშიაშვილის ქ. № 94, ბ. 39
**ელ. ფოსტა:** qvishabatumi@gmail.com

სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N1674 განცხადება, რომელიც ეხება შპს „ქვიშა ბათუმის" სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ პროექტით განსაზღვრული სამსხრევ-დამახარისხებელი დანადგარები უკვე დამონტაჟებულია და საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია გადამუშავებული სასარგებლო წიაღისეული (ქვა-ღორღი). თუმცა გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია, როგორც „სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი **საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის** პროექტი". გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და ასახული უნდა იქნეს საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებული შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის ნახაზი 4.1.1. (დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი) და Shp ფაილები, მთლიანად მოიცავს 05.35.28.246 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს, თუმცა აღნიშნული ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს შპს „ერ ტრანსის" და შპს „ნაზირი და კომპანიას" საწარმოები, შესაბამისად დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს როგორც გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ნახაზი 4.1.1, ასევე Shp ფაილები;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ საწარმოს განთავსების შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის დადებითი მხარეები, გზშ-ის ანგარიშში განხილული უნდა იყოს სათანადო ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ნახაზებზე 2.3.1. (საწარმოს ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა) და 4.1.3. (საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის აეროთანამგზავრული მონაცემები) ურთიერთშეუსაბამოა უახლოესი დასახლებული პუნქტი. ამასთან დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის აღწერაში აღნიშნულია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 320 მეტრში, ხოლო ნარჩენების მართვის გეგმაში წარმოდგენილ ცხრილში 1.2.1. (შპს „ქვიშა ბათუმი”-ს შესახებ ინფორმაცია) მითითებული ინფორმაციის თანახმად მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე 460 მეტრია. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი. ამასთან დაზუსტებას საჭიროებს უახლოესი საცხოვრებელი განაშენიანების საზღვარზე მონიტორინგის წერტილის (N15) კოორდინატები.
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდ. ჭოროხის კალაპოტამდე მანძილი დაახლოებით 50 მეტრზე მეტია, თუმცა მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან მდ. ჭოროხის კალაპოტამდე მანძილი დაახლოებით 30 მეტრია. გარდა აღნიშნულისა, დაზუსტებას საჭიროებს ასევე საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან და დანადგარებიდან მანძილი მდინარის კალაპოტამდე. ამასთან მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ,,წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 და ,,საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N445 დადგენილებებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის თაობაზე;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე კაპიტალური შენობა-ნაგებობების მშენებლობა დაგეგმილი არ არის. მუშა-მოსამსახურეთა მოსასვენებელი, კვების ბლოკი და სხვადასხვა დანიშნულების სასაწყობე შენობა ნაგებობები წარმოადგენენ მარტივი ტიპის არაკაპიტალურ დროებით ნაგებობებს. თუმცა სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ორსართულიანი კაპიტალური შენობა-ნაგებობა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში პარაგრაფში 4.3.2. (გვ. 35) მითითებულია, რომ მზა პროდუქციის რაოდენობა იქნება 86 800 ტონა, ხოლო 4.3.3. (გვ. 35) პარაგრაფში მითითებულია 82 460 ტონა, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში თავი 6-ში (გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი) წარმოდგენილია ინფორმაცია შპს „ბათუმ ციმენთოს“ დაგეგმილი საწარმოს მშენებლობა და ექსპლუატაციის შესახებ, რომელიც მდებარეობს საპროექტო

ტერიტორიიდან 400 მეტრში, თუმცა საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ 500 მ რადიუსის საზღვრებში არსებული საწარმოების ჩამონათვალში აღნიშნული დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი;

- საპროექტო ტერიტორია განთავსებულია სამრეწველო ზონაში, სადაც მდებარეობს სხვადასხვა პროფილის საწარმოები, მათ შორის არაერთი სამშენებლო მასალების საწარმო, რომლებიც დაკავშირებულია ხმაურის გავრცელებასთან, თუმცა გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში - 6.2.2.2. (ხმაურის გავრცელების ფონური მდგომარეობა) მითითებულია, რომ ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს საავტომობილო ტრანსპორტი, რას საჭიროებს დაზუსტებას/დასაბუთებას; ამავე ქვეთავში აღნიშნულია, რომ **ეგხ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე,** დასახლებულ პუქტებში, ხმაურის ფონური დონეების დადგენის მიზნით ჩატარდა ინსტრუმენტული გაზომვები. დაზუსტებას საჭიროებს ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვების შესახებ დეტალური ინფორმაცია. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ზემოაღნიშნული ეგხ-ის შესახებ;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ დეტალური ინფორმაცია (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით) და ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო